ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 131

<u>საქონლის მომსახურეობა</u>

ქ. ზესტაფონი 22 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-„ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრ-"ის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ორბელაძის (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი/მ „ია რობაქიძ"-ის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. *ხელშეკრულების საგანი*

2.1 ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის მომსახურეობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურისათვის საკანცელარიო საქონლის შესყიდვა (იხ. დანართი 1). შესყიდვის დანაყოფის კოდი: 22816100, 22851000, 22852100, 30192121, 30192123, 30192100, 30192160, 30194000, 30197644, 30199000, 39241200.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.

22800000 დანაყოფის კოდით ---------- 61 ლარი;

30100000 დანაყოფის კოდით ---------- 183 ლარი;

39200000 დანაყოფის კოდით ---------- 6 ლარი;

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 22 დეკემბრიდან 2016 წლის 26 დეკემბრამდე.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურეობის გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 მომწოდებლის მომსახურების კონტროლს განახორციელებს ზესტაფონის ააიპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2015 წლის 07 ივლისის #120 ბრძანებით შექმნილი კომისია.

8 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

8.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10(ათი) საბანკო დღის ვადაში.

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10. *ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

10.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,1%.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 **ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 22 დეკემბრიდან 2017 წლის 30 იანვრამდე.**

12.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მ/შ

გიორგი ორბელაძე

ანგ. #300193287
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ს/კოდი: 430024555
მის: ქ. ზესტაფონი ფარნავაზის ქ. №2

მომწოდებელი

ი/მ „ია რობაქიძე"

ს.ს. „საქართველოს ბანკი "
ზესტაფონის ფილიალი
ბანკის კოდი 22
ა/ა # GE89BG0000000150769800
ს/კოდი: 18001038053
მის: ქ. ზესტაფონი აღმაშენებლის ქ. №7

№	CVP	საქონლის დასახელება	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი(ლარი)	ჯამი (ლარი)
1	22816100	ბლოკნოტი	5	ცალი	5	25
2	22851000	ბაინდერი	5	ცალი	3	15
3	22852100	ფაილი	6	შეკვრა	3,50	21
		ჯამი				61
4	30192121	ავტოკალამი	50	ცალი	0,20	10
5		ავტოკალამი	10	ცალი	0,70	7
6	30192123	ტუშის კალამი	2	ცალი	0,70	1,40
7	30192100	საკანცელარიო წიგნი	10	ცალი	1	10
8	30192160	კორექტორი	6	ცალი	1	6
9	30194000	სახაზავი	6	ცალი	0,60	3,60
10	30197644	ქსეროქსის ქაღალდი	10	შეკვრა	8	80
11		ქსეროქსის ქაღალდი	5	პაჭკა	9	45
12	30199000	ჩასანიშნი ქაღალდები	4	ცალი	5	20
		ჯამი				183
13	39241200	მაკრატელი	4	ცალი	1,50	6
		სულ				250